# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი.

**ფ ა ს ი:**

წლიურათ . . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . . 3 აბაზი

**ცალკე ნუმრის ერთი შაური.**

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 122

წელიწადი მეორე

1913

სამშაბათი, 13 აგვისტო.

**მისამართი:** Кутаисъ, редакція газ. „ИМЕРЕТИ".

ტელეფონი № 149.



ელექტრო-თეატრი „რადიუმი" 12 და 13 აგვისტოს 1913 წ.

პათე ჟურნალი.

**უძლიერესი კომიკური სურათი** ეშმაკობაში გადაჭარბება.

პროგრამის გარეთ კიდევ ორი უკანასკნელი გასტროლი.

**ძმები საფოები** ითამაშებენ **უზუნდარასა და გველებით** უზუნდარას თამაშობის დროს დაუკრავს ზურნა.

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისთვის ყოველდღიურ გაზეთზე

წელიწადი მეორე

1913

**იმერეთი**

**გაზეთის ფასი:**

ერთი წლით . . . 7 მანეთი,
ნახევარი წლით . . . 4 მანეთი.
ერთი თვით. . . . 3 აბაზი.
და ცალკე ნუმრის . . . 1 შაური,

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა—სამი მანეთი.

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით სტრიქონი ღირს 3 შაურათ მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ редакція газеты „ИМЕРЕТИ"

სხვანაირათ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

## ახალი წიგნის მაღაზია

☛ კ. ი. ოცხელისა ☚

ქუთაისში ალექსანდრეს ქუჩაზე ზ. კოკოჩაშვილის სახლში გაიხსნა

## უდიდესი

## წიგნის მაღაზია

კონსტანტინე ივანეს ძის ოცხელისა.

ახალ მაღაზიას შეძენილი აქვს მეტათ მრავალი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი.

ახალ მაღაზიას სურს შეამავლობა გაუწიოს პროვინციის წიგნის მაღაზიებს, სასწავლებლებსა და წიგნსაცავებს, რომელთაც დაეთმობათ წიგნები, რაც შეიძლება, ფას-დაკლებით. ამაზე ყველა დარწმუნდება მაღაზიის პირდაპირი გაცნობით.

ახალი მაღაზია გახსნილია იქ, სადაც აქამდი მთავრიშვილის ყოფილი ამხანაგობის წიგნის მაღაზია არსებობდა; მის გვერდით გამართულია დ. ი. ოცხელის სპეციალური საკანცელარიო მაღაზია, სადაც მოიპოება ყოველნაირი სასწავლო ნივთი მლიერ იაფათ.

## ქ. ქუთაისში.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

☛ საბუღალტრო კურსები ☚

გ. გ. გიკინეიშვილისა.

კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით. (გიმნაზია, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებელი). კურსი ათი თვისაა. სწავლის ფული ასი მან. თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში. (თფილისის ქუჩა, სახლი ბარქაიასი.)

## განცხადება.

ქალთა ორ კლასიან სასწავლებელში პროფესიონალური განყოფილებით 1 სეკტემბრიდან

☛ **იხსნება მესამე კლასი:** ☚

თხოვნების მიღება დაიწყება 20 აგვისტოდან. სასწავლებელი იმყოფება უწინდელ ბინაზე: თფილისის ქუჩა, ნიკარაძის სახლი, № 46.

სასწავლებლის გამგე: ნ. ლ. მიქელაძის ასული დადიანისა.

## ხელის მომწერთა საყურადღებოთ

ქ. ქუთაისში მოვაჭრე ამროსი ხვინგია თავის სავაჭროში გაზ. „იმერეთის" ხელის მომწერლებს სთხოვს რომელსაც არა აქვთ პირველ იანვრიდან გაზეთის დასაკვეთი ფული შემოტანილი დაუყონებლივ შემოიტანონ წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთის გაგზავნა მოესპობათ.

## ხაშურის (მიხაილოვო) 6-კლასიანი

## ვაჟთა პროგიმნაზია

## (შულებიანი მოსწავლეთათვის)

აცხადებს, რომ შეგირდების გამოცდა და მიღება დანიშნულია 20 აგვისტოდან—1 სეკტემბრამდი.

## თ. ა. მთავრიშვილის

## წიგნის მაღაზია

აუწყებს მასწავლებლებს, მოსწავლეებს და პროვინციის წიგნის მაღაზიებს, რომ ამა 1913—14 სასწავლო წლისათვის დამზადებული აქვს

## დიდძალი სახელმძღვანელო და სხვა

## წ ი გ ნ ე ბ ი,

რომელიც იხმარება ქალაქ ქუთაისისა და ქუთაისის გუბერნიის დაბალსა და საშვალო სასწავლებლებში.

**ფასები საკმაოდ დაკლებულია.**

მსურველთ შეუძლიათ წიგნებთან ერთად მოითხოვონ ჩვენგან სხვა სასწავლო ნივთებიც: **რვეულები, კალმები, კალმის ტარები, კარანდაშები, საანგარიშო დავთრები** და სხ., რასაც **ძალიან დაკლებულ ფასათ** დაუყონებლივ მივაწვდით **გოკიელის** საკანცელარიო მაღაზიიდან.

მისამართი: **ქუთაისი,** ალექსანდრეს ქუჩა, ბოკერიას სახლი, ბულვართან.

## ქუთაისის რეალური სასწავლებელი

ამით აცხადებს, რომ განმეორებითი ეგზამენები და მისაღები გამოცდანი პირველი კლასისა და

## მოსამზადებლების უმცროსსა და უფროს

განყოფილებაში შემსვლელთათვის დაიწყება 21 ამა მარიობისთვიდან.

## დანარჩენ კლასებში მიღება იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ თავისუფალი ადგილები დარჩა.

თხოვნების მიღება დასრულდება 19 მარიობისთვეს. დაწვრილებითი ნუსხა ეგზამენებისა და სხვა ცნობანი სასწავლებლის კანცელარიაში.

მეცადინობა დაიწყება 1 ეკენისთვეს.

## ქ ი რ ა ვ დ ე ბ ა

ერთი ოთახი მეორე სართულზე ბალახვანის ქ. სახლი პ. ბოჭორიშვილის მსურველს შეუძლია მიმართოს იქვე ეზოში.

## იყიდება

ქუთაისში "პოდგორნი" ქუჩაზე რიონის პირისკენ ორსართულიანი ქვიტკირის სახლი სარდაფით.

მისამართი: „პოდგორნი" ქუჩაზე ზაინკალი (слесарь) ერმილე ქორიძე.

**შინაგან სნეულებათა ა ქ ი მ ი**

**ნიკ. ივ. შენგელია.** მიღება: დილით 9—11 ს., საღ. 5—7. გენერლის (გოგებაშვილის) ქუჩა, საკ. სახლი.

**აქიმი** ვ. ა. ნემსაძე ლებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშვადღევის 3—6 საათ. თფილისის ქუჩა, ფირალოვის სახლი.

**ა ქ ი მ ი** კ. თ. ტყეშელაშვილი.

ათი აპრილიდან ღებულობს ავათმყოფებს (**შინაგანი ვენერიული კანის**) ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან. პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში.

**აქიმი ი. ჩარექოვი**

იღებს **კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე.** მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს აქიმი საავათმყოფოშია.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში.


## ახალი ცილისწამება.

(იხ. „განთიადი" 11 აგვისტ. წ. „ნარიძისა".)

„არ გათეთრდება ყორანი რა გინდ რომ ხეხო ქვიშითაო," ნათქვამია.

და ზოგიერთი ჩვენი ამხანაგის მოლოდინი, „დასელები" გასწორდებიანო, მწარე შეცდომა იყო.

მათმა ცილისწამებამ საზიზღარ მკვლელთ უდიდესი ბოროტება ჩაიდინა.

დღეს კი პირიქით ჩვენ გვაბრალებენ ცილსსმწამებლობასა და გვიცხადებენ დაუსრულებელ პროტესტებს!

ბ. „ნარიძე" კიტაშს უკრავს, აქეზებს, „შეგნებად ნათლავს ბრბოს ამგვარს ფანატიკურ სიბრმავეს.

ეს დაბალი ხარისხის დემოგოგია არის!

კეთილსინდისიერმა ჟურნალისტმა კი არ უნდა მოუწონოს ბრბოს უგუნური მოქმედება, არამედ გონების თვალი უნდა აუხილოს, უნდა გამოაფხიზლოს დამათრობელი ჰიპნოზისაგან.

„ხელმოწერილი კოლექტიური წერილებით თავისი აზრის გამოცხადება თვითმოქმედების და მოქალაქეობის საუკეთესო თავდებიაო", ბძანებს ბ. „ნარიძე".

მხოლოდ ორი პირობით,—დავუმატებთ ჩვენ:—1) რომ ეს კოლექტიური აზრი ჭეშმარიტებას არ ღალატობდეს და 2) იყოს დამოუკიდებელი და არა ნაძალადევი, მოუფიქრებელი შეუგნებელი.

თუ კი მეპროტესტენი წაუკითხავად აწერენ ხელს საპროტესტო წერილებს, ამგვარი პროტესტები „ნულზე" უვარესია.

თუ კი ამასთანავე ყალბ პროტესტებსაც სთხზავენ და ხუთი წლის ბავშის გვარსაც კი აჩხირებენ კონტრაბანდად ხელისმომწერელთა შორის, ცხადია, ამგვარი კოლექტიური პროტესტებიც „ნულზე" უარესი იქნება.

და, თუ მეპროტესტეს არ დაუფარავს თავისი გულნადები და უთქვამს მეორე დღესვე, მგოსანი რომ მოკლეს, თვითონ მე მოვკლავდი ილიას, თუ მართალია ყველაფერი, რაც ფ. მახარაძემ დააბრალაო, მისი და მისთა ძმათა პროტესტი ხომ კიდევ უარესი უნდა იყოს!

და, როდესაც მეპროტესტენი უკრიტიკოდ იმეორებენ და ადასტურებენ ფ. მახარაძის ცილისწამებას, ამგვარი შეუგნებელი საქციელი ნუ თუ უნდა უხაროდეს და პირიქით გულს არ უნდა უკლავდეს გულწრფელსა და პატიოსან ჟურნალისტს?!

მაგრამ რას ვამბობ?! განა პატიოსანი ჟურნალისტი იკადრებს იმას, რაც იკადრა და რასაც ახლაც კადრულობს ბ. „ნარიძე"?!

ის კვლავ იმეორებს ერთხელ მის მიერ მოჭორილს ცრუ ბრალდებას, 1900 წელს „ივერიაში" ილიამ მუშებს საპროტესტო წერილების გამო „ნულები" უწოდაო.

სცრუობდით და სცრუობთ, ბ. „ნარიძე".

ილიას არაოდეს არ უწოდებია „ნულები" მუშებისათვის.

არამედ უწოდა „ნული" იმ აზრს (?), უკეთ ვსთქვათ, იმ ფანატიკურ მრწამსს, რომელსაც მეპროტესტენი აღიარებდენ.

მაშინდელი მეპროტესტენი იმიტომ უცხადებდენ მგოსანს პროტესტს, რომ მან მოინდომა ბ. ნ. ჟორდანიას უცოდინარობის გამომზეურება.

მათ უარყვეს კრიტიკა, რომელიც არის ღერძი პროგრესისა, წინსვლისა.

ამ ფანატიკურ უარყოფას, გონებრივ სიბრმავესა და არა მუშებს უწოდა ილიამ „ნული“.

და სამართლიანად ამბობდა: როდესაც აზრი, რომელსაც აღიარებენ მეპროტესტენი, „ნულია“, მაშინ მეპროტესტეთა სიმრავლე უმნიშვნელოა, „ნული“, გამრავლებული მილიონჯერ, რადგან მაინც „ნულიაო“.

მაგრამ ბრბომ დაიჯერა ცილისწამება და შეურაცხყო მგოსანი უსამართლოთ.

და ილიას შეურაცხმყოფელთა და ცილისმწამებელთა შორის შავი ასოებით აღიბეჭდება ბ. „ნარიძის“ სახელიც.

**ისარი.**

## პ რ ე ს ა.

რაზედაც არ უნდა სწერდეს, „განთიადი“, ისე ვერ მოისვენებს, რომ ფედერალისტებს არ უკბინოს და თავისებურათ ცილი არ დასწამოს. ავიღოთ თუნდაც მათი გაზეთის კვირის ნუმერი. აქ სარედაქციო წერილი ხიზანთა გარჩევას შეუდგა, მაგრამ ერთი მარცხი მოუვიდა: ავტორს ფედერალისტები გაახსენდა, მათ ცილისწამებას გადაყვა და წერილის უმთავრესი საგანი კი დაავიწყდა.

აი, ნიმუშიც:

„მათ (ე. ი. ბატონყმობის მოტრფიალეთ) ხშირათ შეხვდებით ჩვენი ფედერალისტების გვერდით, მათთან ერთად „შინაურ მტრების“ წინააღმდეგ სასტიკათ ამხედრებულთ.

აიღეთ მაგალითად სახელმწიფო დუმის წარსული არჩევნები და ის სამარცხვინო ნაციონალისტური კამპანია, რომელიც ფედერალისტებმა გამართეს კარლო ჩხეიძის არჩევნების წინააღმდეგ, ისინი მესამე დასელებთან ბრძოლის დროს თავადაზნაურთა წოდებას და მის საარჩევნო უფლებებს ეყრდნობოდენ“

სინიდისიც კარგი საქონელია, ბ. განთიადლებო, ნეტავ, რას როშავთ! თუ დაგავიწყდათ, რომ თქვენთან ერთად ხელი ხელ ჩაკიდებული მუშაობდა თქვენ მიერ ცნობილ საზოგადო მოღვაწეთ მონათლული თავადი დავით ოტიასძე ნიჟარაძე. ვინ ეყრდნობოდა არსებულ საარჩევნო უფლებას, თქვენ თუ ფედერალისტები? ვინ მიიმხრო სოლოლაკელები?

ამის პასუხი თქვენ თვითონ მიეცით თქვენ თავს, ოღონდ კი გაიხსენეთ გიორგი ჩიჩუაზე თქვენგან „შეთხზული“ დანოსი.

# ახალი ამბავი.

ქუთაისის ქალაქის გამგეობაში სტუდ. კ. გამსახურდიამ განცხადება შეიტანა, რომ ავათმყოფობის გამო იგი იძულებული ილიას სახელის სტიპენდიაზე უარი სთქვას, რადგან ამ სტიპენდიით მას პეტერბურგში უნდა ეცხოვრა (აღმოსავ. ფაკულტ.) ამ სახით ეს სტიპენდია თავისუფალია დღეიდან.

✦ ფოთიდან ერთი ვინმესაგან წერილი მივიღეთ, გვთხოვს ბ. ს. მხეიძის მისამართი ვაცნობოთ, რომ საჭმარო მასალა მიაწოდოს მას იმისი, თუ რა სიხით დევნიან ქართულ მოსამსახურე პირთ ფოთის ერთს საზღვაო დაწესებულებაში. ს. მხეიძის მისამართი ქუთაისი—ს. ი. მხეიძეს.

✦ ქუთაისის ოლქის სასამართლოს სესია სისხლის სამართლის სხვადასხვა საქმეს მიმდინარე წლის განმავლობაში გაარჩევს:

ქ. სოხუმში: სეკტემბრის 16—25-მდი, ნოემბრის 11—23-მდი და დეკემბრის 9—18-იდი.

ქ. ბათომში: ოკტომბრის 7—19-მდი, ნოემბრის 1—9-მდი და დეკემბრის 9—18-მდი.

დ. ზუგდიდში: (მეორე სესია) სეკტემბრის 16—25-მდი, ოკტომბრის 23—31 მდი, ნოემბრის 25-დან 4 დეკემბრამდი.

ოზურგეთში: სეკტემბრის 27-დან 4 ოკტომბრამდი.

ლაილაშში: სეკტემბრის 4—13-მდი.

და საჩხერეში: ოკტობრის 23—31-მდი.

✦ ოლქის სასამართლომ გაამართლა ივ. გურგენიძე, რომელსაც ილ. გოდოკიას მოკვლა ბრალდებოდა. გურგენიძე პურის ჭამად მჯდარა აჯამეთში ბურჯანძის დუქანში. გოდოკია შესულა ამავე დუქანში გურგენიძის სუფრიდან ჭიქა ღვინო დაულევია, ჭიქა გაუტეხია, უშვერი სიტყვებით გაულანძღავს გურგენიძე, შემდეგ ჯოხიც დაურტყამს მისთვის. გურგენიძეს რევოლვერით სასიკვდილოთ დაუჭრია, რომელიც მალე გადაცვლილა.

✦ ჭიათურის საქალაქო სასწავლებლის ინსპეკტორათ შავიქვის მრეწველთა საბჭომ მოიწვია გიორგი ხოშტარია, რომელიც ამ ხანად მსახურობს თერგის ოლქში არხონის საქალაქო სასწავლებლის ზედამხედველათ.

✦ შავიქვის მრეწველთა საბჭომ სამთო შკოლის ინსპეკტორ-ხელოსანათ მოიწვია დროებით მომავალი სამოსწავლო წლის დამლევამდი იაკიმე პეტრიაშვილი.

✦ შავიქვის მრეწველთა საბჭომ სეკტემბრის პირველიდან ხსნის ჭიათურაში ქალთა უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებელს, რომლის გამგეთაც იწვევს თამარ ბურჯანაძისას, და დაბალ პირველდაწყებით სასწავლებელს. პირველი სასწავლებლისათვის მიწვეულია მასწავლებლათ ვერა ხალვაშის ქალი, ხოლო მეორე სასწავლებლისათვის ვერა აბდუშელიშვილის მართა ვოლსკისა და რებეკა ვაშაძის ქალნი.

✦ ჭიათურის უმაღლეს პირველდაწყებითი სასწავლებლისათვის მიწვეულია სალვთო სჯულის მასწავლებლათ ღვ. გერ. ბარათაშვილი. ქართული ენის მასწავლებლათ ივ. გომილაური, ხატვა-ხაზვის პუშკინი-იაკოვლევი, გალობისა — ალ. კავსაძე და ხელსაქმისა ნატ. კაკაბაძისა.

✦ ქუთაისის ოლქის სასამართლომ გაარჩია მცირე-წლოვანის ილია ქარციძის საქმე; მას სოფ. სალომინაოში არსენ სოხაძის გაცარცვა და სამი მანეთის წართმევა ბრალდებოდა. სასამართლომ მას ორი წლისა და რვა თვის კატორგა გადაუწყვიტა, მხოლოდ მცირე-წლოვანობისა გამო მანიფესტის ძალით კატორგა 4 წლის გადასახლებაზე შეუცვალა.

✦ ბაზრის ზედამხედველმა გელოვანმა ვაჭრობის წესრიგის დარღვევისათვის ოქმი შეუდგინა ტ. შალამბერიძესა და ე. მიქელაძეს.

✦ ქუთაისის ოლქის სასამართლომ კ. ცნობილაძისა, კ. გუბელაძისა, და ა. და ა. კვახაძის ასულთა საქმე გაარჩია და ქურდობისათვის გადაუწყვიტა, ცნობილაძეს—8 თვით გამასწორებელი რაზმი, გუბელაძეს—რვა თვის ციხე, და კვახაძის ასულთ თითო თვის ციხე.

### მო-წერილი ამბავი.

**წიდვერი**. სამშაბათს, 6 აგვისტოს დილით გაიმართა უფასო სახალხო წარმოდგენა. წარმოდგენილ იყო ავქ. ცაგარლის პიესა „ციმბირელი“. წარმოდგენის დაწყებამდი ბ-ნმა ს. ტარუაშვილმა საზოგადოებას გააცნო მოკლე სიტყვით პიესის შინაარსი, საერთოდ წარმოდგენამ გლეხებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა: მოეწონათ განსაკუთრებით ნ. გოცირიძე (სტეფან მაკარიჩი) და ი. გრიშაშვილი (კავკაველი პეტუა კინტო) აღსანიშნავია ელ. ჩოლოყაშვილის ასული, რომელმაც უნაკლულოდ შეასრულა ნარგიზას როლი, ხმა, მიხვრა-მოხვრა, ყოველისფერი ხელს უწყობდა და თუ შრომას არ დაიზარებს მომავალში მშვენიერი მსახიობი ქალი დადგება. კარგები იყვენ აგრეთვე ბაბ. ტანელის ასული (მაშო) ს. ტარაიაშვილი, (ციმბირელი) ივ. გომელაური (მაზუთიანი) ანთელაძე (ნიკოლა) და ვეფხვაძე (ქლესოვი). სასურველია, რომ ასეთი უფასო წარმოდგენები გლეხებისთვის სოფლათ ხშირათ გაიმართოს.

— ამავე საღამოს ქართული ენის ცენზორის ივ. პოლუმორდვინოვის თაოსნობით გაიმართა „კონცერტი“ არჩილ ჯორჯაძის ძეგლის სასარგებლოდ. კონცერტმა ჩინებულათ ჩაიარა, მოეწონათ ინაშვილი, ახალგაზდა მომღერალი, ეს მომღერალი თფილისშიც ვნახეთ სადაც აბესალომის არია იმღერა ზ. ფალიაშვილის მიერ გამართულ საღამოში და სიხარულით უნდა ავღნიშნო ხმის სიძლიერე და სიფაქიზე, მაგრამ თუ ხმა არ განავითარა დიდათ სამწუხარო იქნება. ამბობენ—შეძლება ხელს არ უწყობსო. იმღერა რამდენიმე რუსულ-ქართული რომანი და ხალხში აღტაცება გამოიწვია, იმღერა აგრეთვე გენაცვალე, მაგრამ, ვისაც სარაჯიშვილი უნახავს, არ მოეწონებოდა —რასაკვირველია.

**ხონი.** ადგილობრივ თეატრში 8 აგვისტოს ნინო ჩხეიძის ასულის საბენეფისოთ წარმოადგინეს გორდინის პიესა „საკლავი“. პიესა კარგი შინაარსიანია, მაგრამ ხონის სცენისათვის კი შეუფერებელია. მისი დადგმა პროვინციის სცენაზე ძალიან ძნელია. ხალხი წარმოდგენას ბევრი დაესწრო. მობენეფისეს მიართვეს საჩუქრები.

**ს. პერევისა** (ზემო იმერეთი) ს. პერევისა ძალიან ჩამორჩენილი სოფელია. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია ადგილობრივმა ინტელიგენციამ, რომლ[...] რიცხვიც სოფელში 10—12 იქნება. ინტელიგენტები დრო გამოშვებით წარ[...] მოდგენებს მართვენ. იმ კვირაში ორ[...] ჯერ გამართეს წარმოდგენა.

# დ ღ ი უ რ ი.

ოსმალეთმა დიდ სახელმწიფოებს აცნობა—ფრაკიის ალებით დავკმაყოფილდებით და დედე-აგაჩს არ ავიღებთო.

— იტალია ოსმალეთს შეპირდა—დიდ სახელმწიფოებს შენს წინააღმდეგ გალაშქრებაში არ მოვეხმარებიო.

— ოსმალეთი ბულგარეთის ტერიტორიიდან თავის ჯარს აბრუნებს.

— დიდმა ვეზირმა განაცხადა: სახელ[...] მწიფოთა [...] ოსმა[...] ლეთს ვერ აიძულებს ა[...]რიანოპო[...] დათმოს. —

— ბუტირის ციხეში არეულობის გ[...] მო 6 კაცს სიკვდილით დასჯა გადა[...] წყვიტეს.

## ჩვენი თანამემამულე პრივატ[-] დოცენტი.

### წერილი ჟენევიდან.

ცხრაას ხუთი წლის ქარიშხალმა სა[...] შობლოს მოსწყვიტა და შორს—ევროპა[...] ში გადასტყორცნა ჩვენი თანამემამულ[...] მან შვეიცარიას შეაფარა თავი. მალე [...] ჟენევის უნივერსიტეტის იურიდიულ ფ[...] კულტეტზე შევიდა, რომელიც 1910 [...] დაასრულა. შარშან, როდესაც მან თ[...] წარადგინა—„საქართველოს დამოუკიდე[...] ლობის მოსპობა და მისი რუსეთთა[...] შეერთება“,—ფაკულტეტი დიდათ დაინ[...] ტერესა და სთხოვეს—ეს საკითხი კარ[...] შეემუშავებია და შემდეგ, ევროპაში ცნო[...] ბილ პროფ. ბარჟოს წინასიტყვაობით გ[...] მოსცემდენ. ზოგი მასალების გამოწერ[...] უნივერსიტეტმა იკისრა, ზოგსაც ამ სტრ[...] ქონების დამწერი „კოლხიდის“ ფურც[...] ლებზე ჩვენს საზოგადოებებსა თუ კერძ[...] პასუხს სთხოვდა სამი ოთხი თვით, მა[...] რამ ხმა ჩვენი დაიკარგა უდაბნო[...] შინა. წელს კიდევ მოსთხოვა ფაკულ[...] ტეტის დეკანმა ის ნამუშავერი და მ[...] შემდეგ გაზეთ "Atec და Express de gene[-] ve-ის ქრონიკაში ვკითხულობთ: „ბ-ნი ლე[...] კერესელიძე საუნივერსიტეტო საბჭოს მი[...] დაინიშნა პრივატ-დოცენტიათ იურიდიულ[...] ფაკულტეტის სახელმწიფოებრივი უფლებ[...] კათედრაზე. ბ. კერესელიძე მართ[...] ვფიქრობთ, პირველი მაგალითია, რო[...] ჟენევის უნივერსიტეტში კავკასიის მკვიდ[...] რი პრივატ-დოცენტათ ინიშნება, რა[...] გაამხნევებს ქართველ სტუდენტებს, [...] კვლავ უფრო ბლომათ ეწვევიან სასწა[...] ლებლათ ჩვენს ჟენევასო“

## პასუხის ნაცვლათ.

### რობაქიძე-ჯორჯიკიას პოლემიკის გამო.

დასასრული იხილეთ „იმერეთი № 120.

ბარამ გულიჯანიანის გამიჯნურების ამბავი ძალიან გავს ვეფხის ტყაოსნის გამიჯნურების ამბავს. მაგრამ ყურადღებას აქ იქცევს ის გარემოება, რომ ბარამ გულიჯანიანში წინააღმდეგ „ვეფხის ტყაოსნისა“ და ბაჰრამ—გულამდამიანისა ვერ ვხედავთ მოქმედ პირთა გმირულ ბრძოლას დევებსა და ქაჯებთან, ე. ი. ბარამგულიჯანიანში ფანტასტიურ ელემენტს თითქმის სრულებით არავითარი ადგილი აღარ აქვს, და ეს გარემოება კი გვაფიქრებიებს, რომ ბაჰრამგულიჯანიანი წარმოადგენს ერთ-ერთის ბარამიანის ტიპის სადევგმირო მოთხრობის კერძო რომანიული ეპიზოდის განვითარებას.

ამ საკითხს, რასაკვირველია, მეტი შუქი მოეფინება, როდესაც მოინახება და შეისწავლება მოთხრობები, რომელსაც მისი გადაწყვეტისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

ბაჰრამიანის ტიპის მოთხრობა კი ბევრია, ჩვენ გავიცანით და კიდეც შევუდარეთ ვეფხის ტყაოსანს სპარსულ ენაზე არსებული ბაჰრამ გულამდამიანი, (კიტაბი ბაჰრამ ვეგულანდამ), რომელიც უდრის მოკლე ქართველს პროზაიკულ რედაქციებსა და ის დასკვნა გამოვიყვანეთ, რომ ვეფხის ტყაოსანში წინააღმდეგ ბაჰრამიანისა შეერთებულია რომანულისა და დევ-გმირულის ნაწარმოების თვისებები; ე. ი. ერთის მხრით იგი წარმოადგენს სამიჯნურო წიგნს, სადაც გაღმერთებულია უმაღლეს წერტილამდი განვითარებული ქალ-ვაჟის სიყვარული, მეორეს მხრით გმირულ ბრძოლას დევებსა და ქაჯებთან.

ამას გარდა ყოფილა სპარსული ბაჰრამ გულანდამიანი [1]) ლექსათ ნათქვამი ამინის მიერ, მესნევის ზომით, იგი იწყება ღვთისა და წინასწარმეტყველის ქება—დიდებით. მთავარი გმირის ბაჰრამის თავგადასავალი ერთსა და იმავე დევებსა და ქაჯებთან ბრძოლას წარმოადგენს.

საქართველოს ოქროს ეპოქაში ნამეტურ ეტანებოდენ სადევგმირო ამბებს, რის მიზეზიც გახლდათ ჩვენის წარსულის რაინდული ხასიათი. ბუმბერაზობა და გოლიათობა, როგორც ამას ჩემს მოხსენებაშიც ვამბობდი, ძალიან მოწონებული იყო სახელმწიფოებრივობის შექმნისათვის ბრძოლის დროს და ამისი მიზეზი გახლდათ ის გარემოება, რომ ძვირად თუ რომელსამე ერს გამოუჩენია სხვა ერზე (კულტურულის) გავლენის ისეთი ძლიერება, როგორიც სპარსეთმა საქართველოზე გამოიჩინა: ჩვენის წარსულის ლეგენდარული ხანა და საგმირო ამბები ამისი აშკარა მაჩვენებელია.

აიღეთ თუნდა ჩვენი უძველესი ისტორიულ პირთა შესახებ თქმულებები, რაც შემოუნახავს ჩვენთვის უძველეს მატიანეს ქართველ ბუმბერაზთა, ფარსმანისა და ვახტანგის შესახებ. მოვიგონოთ ვახტანგ გორგასლანის უთვალავი გალაშქრება სხვადასხვა სახელმწიფოზე, ვისი ბრძოლა სხვადასხვა გოლიათან და ყველგანა და ყოველთვის უძლეველობა მისი, რა არის თუ არა ირანული ზღაპარი, რომელიც სპარსეთის გავლენის ნიადაგზე უნდა იყოს შექნილი?!.. რასაკვირველია, სასაცილო იქნებოდა იმისი თქმა, რომ ეს ამბები სავსებით სპარსულია და არა ქართულის ოცნების ნაყოფი; აგრეთვე თვითონ ვახტანგი, რომლის ეპიტეტიც გორგასლანი[1]) წმინდა სპარსულია, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მიღებულ იქნას სპარსულად ოცნების ნაყოფად: იგი ქართველი ისტორიული პირია ირანულ თქმულებათა გავლენის ქვეშ შექმნილ თქმულებებში გაბუმბერაზებული. ყველა ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ მე XII საუკ. ქართველობას უკვე სრულიად შეთვისებული ქონია სპარსულის მწერლობის სული და მიმართულება, რომელიც ამ დროს კიდევ უფრო დამკვიდრდა, რადგან ამას იწვევდა სახელმწიფოებრივ კულტურული მოთხოვნილებანი. შესაძლებელია, ამ დროს უკვე არსებობდა სპარსულიდან ნათარგმნი მთელი კრებულები, რომლებშიც მოთავსებული იყო ისეთი პროზითი ამბები[2]), როგორიც არის ვეფხის ტყაოსნისა და ბაჰრამ გულიჯანიანის მოთხრობები, რომლებიც არსებითად ერთი მეორეს ძალიან გავს.

ამიტომაც, ჩვენის აზრით ტარიელისა და ავთანდილის თავგადასავალს დიდი ისტორია უნდა ქონდეს თვით საქართველოს ცხოვრებაში მე XII საუკუნემდი ე. ი. იმდრომდი სანამ იგი რუსთველის შემოქმედების სამკვიდრებელი გახდებოდა: თუმცა ტარიელისა და ავთანდილის ამბავი წარმოადგენდა სპარსულიდან ლიტერატურის საშვალებით შემოსულ ამბავს, მაგრამ იგი დროთა განმავლობაში უნდა შეცვლილიყო თვით ქართულ ნიადაგზე.

მართლაც პოემაში შიგა და შიგ გამოსჭვივის ქრისტიანულ-სარწმუნოებრივი ტენდენცია.

ერთს შემთხვევაში პირდაპირ მოყვანილია სახარების ტექსტი (იხ. სახარ. ლუკასი, თავი 17, მუხლი 4 და იგავნი სოლომონისანი, თ. 24 მუხ.) როცა ავთანდილმა არ იქნა და ვერ ათქმევინა ასმათს „ვეფხის ტყაოსნის“ ვინაობა, მოთმინებიდან გამოსულმა სტაცა თმაში ხელი მას, წაითრია და ყელზე დანა დაადირა, რომ სიკვდილის მუქარის ქვეშ ეთქმევინებია ტარიელის სახელი, მაგრამ ამაოთ: ქალი მზათ იყო გაეწირა თავი, ოღონდ კი არ გაეცა ტარიელის ვინაობა, ავთანდილი იძულებული გახდა მუხლი მოეყარა ქალის წინაშე და ეთხოვა შეცოდების პატიება უდიერი საქციელისათვის.

იგი ამ სიტყვებით იხდის ბოდიშს ქალთან:

„ვეცი აღარ ვარგხარ შენ აწ ჩემდა დასანდობლად,
გაგარისხე, დაგრჩომივარ ღარიბად და ამად ობლად;
აწ ეგრეცა თავი ჩემი დამიძ შენთვის დასანდობლად,
ამად რომე შეცოდება შეიდ გზის თქმულა შესანდობლად“-ო.
(იხ. ხ. 242.)

პირდაპირი ქრისტიანის სახლის, ამ შემთხვევაში ქართველის წარმოდგენა იხატება შემდეგ სიტყვებში, რომლებითაც მოქარავნე მამადიანი ვაჭრები გააცნობენ თავის თავს ავთანდილს:

„ჩვენ ვართო მობაღდადენი ვაჭარნი, მამადის სჯულის მჭირავნი,—არადეს გვისვამს მაჭარნი—ზღვათა მეფისა ქალაქსა სავაჭროდ გამონაჭარნი“ (იხ. ხ. 100, ტ. 1—3).

ჩვენის აზრით, შეუძლებელია, მაჰმ[...] დიანმა ამ სიტყვებით გააცნოს თავი სხვ[...] და ისიც არაბს; ცხადია ეს ადგილი გვ[...] ხატავს ქრისტიანის შეხედულებას მამ[...] დის სჯულზე, რაც აშკარათ მოწმობ[...] რომ მოთხრობა უნდა შეცვლილიყ[...] ქართულს ქრისტიანულ ნიადაგზე. ქრის[...] ტიანის ფანტაზიის გავლენის ქვეშ, ამა[...] ნიადაგზე უნდა შეცვლილიყო საკუთარ[...] სახელებიც, როგორც მაგ., ტარიელ, ა[...] თანდილ, ნესტან ჯარ, ტარია და სხ[...] იხ. ხ. 1525, ტ. 3, ხ. 1567, ტ. 1.

ავტორის პირადს ერუდიციასა და ნ[...] კითხობის (მსოფლმხედველობის) გავლ[...] ნითაც, რაც უკვე გამოვსთქვით ჩემ[...] მოხსენებაში[1]), უნდა მომხდარიყო ძირ[...] თადი ცვლილებანი „ვეფხის ტყაოსნის[...] ფაბულაში; აკად. მარი პირდაპირ უჩვ[...] ნებს ნეოპლატონიურ წყაროს, რომლი[...] განაც სესხულობს სიბრძნეს პოეტი.

ამგვარი ფაქტების მიხედვით ჩვენ ვფი[...] რობთ, რომ აფორიზმები და პოეტურ[...] ფიგურები, რომლებიც ამშვენებენ, და[...] შრეტელ წყაროთ ქმნიან „ვეფხის ტყ[...] ოსანს“; პოეტს უსესხებია სხვადასხ[...] წყაროებიდან (და შეუმუშავებია თავის[...] ბურათ); ამის საბუთს გვაძლევს ჩემ მი[...] ნაჩვენები „ვისრამიანისა და ვეფხის ტყ[...] ოსნის“ საოცარი მზგავსებაც აფორიზმე[...] ბისა, ფრაზებისა და პოეტური ფიგურ[...] ბის მხრით.

სილამაზის გიპერბოლიური გამოთქ[...] მზეთუნახავის სახისაგან მშვენიერი მზ[...] შუქის შემოდგომა, ელვარისა პირი[...] ღამის დღეთ ქცევა, დამაბრმავებე[...] სილამაზე, ქალვაჟის სამაგალითო და შ[...] უდარებელი მიჯნურობით თავის მოკვ[...] საერთოა ვისრამიანსა და ვეფხის ტყ[...] სანში, რაც გვაფიქრებიებს, რომ რუ[...] თველი იღებდა საუკეთესო ადგილ[...] ქართულათ ნათარგმნ სპარსული ლიტ[...] რატურის ნიმუშებიდან.

ამას გარდა პოემაში ნათლად ჩანს ავ[...] ტორის ცდა გადააკეთოს ზღაპარი წრფ[...]

[1]) Ch. Rieu, გვ. 877. Catalogue of the Revjian manuscripts in the britesch Museum.

[1]) ეპიტეტი „გორგასლანი“ იგივეა, რაც სპარსული გორგსარ ეს გურგსარები მგელთავიანები და სგსარემი ძაღლთავიანები (შეად. ჩვენი ზღაპრები ძაღლთა არსებობის შესახებ) — გამოდიან ირანელთა ფანტასტიურ მტრებათ საგმირო ხანაში. გურგსარებისა და სგსარების შესახებ იხ. Ih. Noldeke, Doib Lvainipsn Worlionale pos, გვ. 32, „შენიშვნ. ეპითეთის გორგასლანის შესახებ იხ. უფრო ადრე ბროსეტის Histoire de la georgie, გვ. 278, შენ. 1—დი: Ces mots persans და სხვ. და პრ. ნ. მარის Т. Р. в. IV, словарь III, собст. им., hceg!

[2]) ჩვენთვის დღემდე წყვდიადით მოცულია ისეთი საკითხები, თუ როდის და რა გზით აღმოცენდა ისეთი არაკების კრებული, რომლის საუკეთესო ნიმუშიც დაგვიტოვა ს. ს. ორბელიანმა.

[1]) იხ. Н. Марръ В. Кн. XII

როგორც შევიტყვეთ. ბ. კ-ძე შემოდგომიდან საქართველოს სახელმწიფოებრივ სამართლის კითხვას იწყებს, განზრახული აქვს მეცხრე საუკუნედ ან მეთორმეტემდი ზამთრის სემესტრში დაასრულოს. ეს საკითხი კი, ვგონებით არა ერთს ქართველ სტუდენტებსაც დააინტერესებს და სიამოვნებით დაესწრებიან ყოველ ლექციას. ბ. კ-ძე ახალგაზდაა, 29-30 წლისაა ვუსურვოთ ენერგულათ განაგრძოს შრომა.

**თეთრი.**

# სამშაბათელა.

მტრისას—რაც ჩვენს ქალაქის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს საქმე სჭირს.

როგორც წყალი და ცეცხლი ვერ მოთავსდება ერთად, ისე ვერ მოთავსებულან მისი გამგე და ამ გამგის თანაშემწე ერთმანეთში.

ეს ამბავი არ ახალია—ძველია და ეს ძველია სწორეთ, რომ ადასტურებს და ამტკიცებს იმას, რომ ამ საკულტურო დაწესებულებას ქალაქისას არც პატრონი ჰყოლია, არც ბატონი, არც კეთილის მსურველი, არც მზრუნველი.

რომელია იმ ორში ცეცხლი და რომელი წყალი—რა მოგახსენოთ:—გამგე, თუ თანაშემწე. მარა მისი მოწმე კი ვართ, რომ კაიხანია, არ გამოსულა ჩვენი ქვეყნის რომელ ქალაქშიც გნებავთ გაზეთი, რომ პირველსავე ნომერში ამ ბიბლ.-სა და სამკითხველოზე წერილი არ დასტამბულიყოს და მერე გამგე და მისი თანაშემწე გაცეცხლებული ერთმანეთს არ დატაკებოდენ.

ვაჲო, რა გახდა ასეთი! ვენიზელოსი და ბერხტჰოლდი ხომ არ უნდა მოვიწვიოთ მათ დასაშოშმინებლათ. დაშოშმინება კი საჭიროა:—ვერ მოთავსდა ერთად ქვა და კოხი, ამ საქმეს მზრუნველი უნდა ყოვლის—გაგვიგონია—გაუწიოს მაშ მზრუნველობა და საზოგადოებას ააშოროს ეს ცხარე-ცხარე წერილები, აწეული კილო... ღვთისწყენდა, ღმერთმანი, რჯულმანი, რჯულმანი...

ჩვენის „ღრმა რწმენით“ სამკითხველო საჭიროა, რომ იქ დუმილსა შინა გაზეთებსა და სხვას უნდა ვკითხულობდეთ და არა გულმოდგინედ ჰექა-ქუხილსა შინა იმას უნდა ვკითხულობდეთ, თუ რომელია მართალი:—გამგე, თუ თანაშემწე... თანაშემწე, თუ გამგე.

ახირებულია სწორეთ!..

და ახირებულია ძმის-ძმაზე გალაშქრებაც. გამსახურდიებზე მოგახსენებთ...

თურმე ლვიძლი ძმაც არ დაგინდობს... არ დაგინდობს იმიტომ, რომ იდეა აქვს უპირველეს და უაღრეს ყოვლისა წინ დასახული. მარა, აგერ, ჩვენთვის, შინაურულათ რომ ვიანგარიშოთ, პატარა მეტიჩრობა ხომ არაა, ან გაბერილი კუდაბზიკობა, როცა ბ. ალ. გამსახურდია ლვიძლ ძმაზე ასეთ წერილს ბეჭდავს.

კონსტანტინეს ჩემი ქომაგობა არა სჭირია, მარა რაღაც ასე მგონია, რომ ალ. გამსახურდიას გოდება და მწუხარებაც მათებური იდეურია, როცა ძმას აფრთხილებს, ისე აღარ იარის, როგორც უგლია... მართლაც სიფრთხილე საჭიროა იმ ხალხთან, რომელიც იდეური ამხანაგის ფილიპე მახარიას ქვაბში მომწყვდეულან და...

ეჰ, რა გაეწყობა.

**სამშაბათელა.**

# რუსეთი.

**პირველი მაისობა.** მთავრობის უმაღლეს წრებში აღიძრა კითხვა პირველ მაისის უქმობის შესახებ. 1905—6 წლებში მთავრობამ შეიწყნარა პირველი მაისი ეუქმებიათ ბალტიის მხარესა და ფინლანდიაში. ამ საქმის შესახებ შინაურ საქმეთა მინისტრმა მინისტრთა საბჭოში მოხსენება შეიტანა. მინისტრთა საბჭომ მინისტრს დაავალა შეიმუშაოს მთავრობის პირთათვის სახელმძღვანელოთ პირველ მაისის უქმობის შესახებ ინსტრუქცია,

**მოსავალი,** ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ატყობინებენ—წელს მოსავალი საშუალოაო.

**სასამართლო.** სევასტოპოლის 49 მეზღვაურს გადაწყვეტილი ქონდათ სიკვდილით დასჯა, მეზღვაურებმა მეფეს სთხოვეს,—სასჯელის პატიება. მეფემ შეიწყნარა მათი თხოვნა. ზოგს ციხე და ზოგსაც 16 წლის კატორგა მიუსაჯეს.

# უცხოეთი.

**ევროპის საზღვაო შეიარაღება.** ლოიდ ჯორჯმა სათემო პალატაში სთქვა: უკანასკნელ სესიაში დიდი ყურადღება მიექცა შეიარაღებაზე ხარჯს. მე ამ ფაქტში ვხედავ ცივილიზაციის უდიდეს მტერს. მოვიყვან მაგალითებს თუ როგორ იზრდება ამ საქმეზე ხარჯი. ჩვენ (ინგლისმა) ფლოტის საჭიროებაზე წელს იმდენი დავხარჯეთ, რამდენიც 1886 წელს ყველა სახელმწიფომ ერთად. წელს საზღვაო ბიუჯეტი 47 მილიონ გირვანქა სტერლინგს უდრის. საზღვაო საჭიროებაზე ხარჯი მარტო ინგლისს არ გაუდიდებია. საზღვაო საქმეს სხვა სახელმწიფოებმაც დიდი ყურადღება მიაქციაო.

# მშრომელი ხალხი.

**ბაქოს ამბები.** ჩხეიძისა და სკობელევის საჩივრის გმო, ბაქოს გრადონაჩალნიკის თანაშემწე უარსყო ის ცნობა, ვითომც ადმინისტრაცია ძალას ატანდა მუშებს, რომ მუშაობა დაეწყოთ. გრადონაჩალნიკის თანაშემწე დეპუტატების სხვა ბრალდებასაც უარყოფს. დაპატიმრე მხოლოდ ის მუშები რომელნიც გაფიცვის სასარგებლოთ მუშებში აგიტაციას ეწეოდენო. 6 აგვისტოს 400 მუშა გაიფიცა, ამავე დღეს მუშაობა დაიწყო 700 მუშამ.

**გაფიცვის მოხსნა.** ლოძში მუშებმა გაფიცვა მოხსნეს და პოზნანის ქარხნის ყველა განყოფილებაში მუშაობა დაიწყეს მუშაობა სხვა ქარხნებშიც დაიწყეს. ლოძში ახლა გაფიცულთა რიცხვი 7 ათასს, არ აღემატება.

# ნარკვევი

**პროფ. კლეისტონის თხზულებიდან:**

(დასასრული იხ. „იმერეთი“ № 120).

**ქ ა ლ ი ს ჭ კ უ ი ს ჰ ი გ ი ე ნ ა.**

მამაკაცის ჭკუის ჰიგიენა და მისი კანონები არ შეგვიძლია თანასწორათ და სავსებით გამოვიყენოთ დედაკაცისთვისაც, რადგან როგორც ნიჭიერებით, აგრეთვე თვით ბუნებისგან მისდამი მიკუთვნილი მოვალეობითაც დედაკაცი სასტიკათ გაირჩევა მამაკაცისგან. ამ მოვალეობათ იმდენათ მაღალი მნიშვნელობა აქვს რასისთვის, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მამაკაცის მოვალეობებს აღემატება და ჩრდილავს. ქალს აქვს თავისი სუსტი და თავისი მეტათ ძლიერი მხარეები მისი ნერვებისა და ტვინის აგებულობა, უფრო ნაზია და რთული ვიდრე მამაკაცისა, მაგრამ სამაგიეროთ იმდენი სიმტკიცე და ძალოვნობა არ აქვს. პერიოდიული უძლურობა და ავათმყოფობა, გამოწვეული თვით ქალის ბუნებისგან, ძალაუნებურათ, ზღუდვენ მისს მოქმედებას და მოღვაწეობას მრავალის მხრით. ეს განსხვავებული მდგომარეობა დედაკაცს აიძულებს მეტის სიფრთხილით მოიქცეს ყველაფერში, ასე ვსთქვათ, მუდამ იარაღ ქვეშ თავის ალაგზე იდგეს, ხშირათ ცბიერობასა და ვერაგობას მიმართოს, და ამასთანავე გულში ჩაიკლას და დაიხშოს ზოგჯერ თავისი მწველი და მდაგველი ინსტიქტები და სურვილები, რაც ხანდახან დასუსტებასა და ღონემიხდილობას იწვევს მასში.

განათლებულ საზოგადოებაშიც დედაკაცს ვერ მოუხერხებია თავისუფლათ ფრთის გაშლა და და ღიღი ნავარდი—მძიმე ბორკილი და გარშემო ამართული გაუტეხელი მაგარი ზღუდე გაუჭედია და აუგია აქაც მისთვის უღლმობელ ცხოვრებას. მისი სპეციალური მოვალეობანი შვილების აღზრდის და მოვლის დროს მძიმე უღლათ აწევს მას კისრათა და საფრთხეში აყენებს მის სიცოცხლეს: შესაძლებელია, ხანგრძლივათ დაიქანცოს, დასუსტდეს, ჯანმრთელობა დაკარგოს და სხვა მრავალმა სენმაც იჩინოს თავი. მუშის ცოლის ცხოვრების პირობები ხომ მთლად ჩამშხამველია და მომწამვლელი. ჯერ სულ ახალგაზდაა იგი და 6—7 შვილი გასჩნია კიდეც—მერე მათი სარჩო-საბადებელი მაინც გაიჩნდეს რამ! იგი მთლად მიჯაჭვულია ოჯახის კერასა და საბრალოს დროც არ აქვს, რომ ცოტახნობით მაინც გავიდეს გარეთა და სუფთა ჰაერით ისუნთქოს, ბუნების წიაღში დაქანცული სული და სხეული მოასვენოს. ორსულობის დროს ახლათ ჩასახული ადამიანის არსების ზრდაალორძინებას მთელი თავისი სხეულისა და სულის ძალებს ალევს იგი და თავს ევლება—და ეს ხომ უმაღლესი და უძნელესი მოვალეობაა საზოგადოთ ყოველი ცოცხალი ორგანიული არსებისა. მუშის ცოლმა ოჯახზე უნდა იზრუნოს დაუკითხავათ იმისა ეხერხება მას ეს თუ არა. მშობიარობის დროს მას არ აქვს არც რიგიანი მოვლა და საკმაო დრო გამომთელებისა და დასვენებისათვის; ასეთ ცუდ პირობებში მელოგინე ქალის დასნეულების შიში ხომ ფიქრათაც არავის მოსდის თავში. იშვიათი ღამე იქნება, რომ მოსვენებული, გაუტეხელი ძილი ეღირსოს საბრალოს უსუსური შვილების მოვლის გამო. ასეთი მუშის ოჯახში ავათმყოფობა—უმეტესათ ბავშვების—თითქმის გამოლეველია—და ამ ყოფის სიმძიმე და ვაივაგლახი ხომ უპირველესათ მუშის ცოლს აწევს ტვირთად. სამაგიეროთ ამ დედაკაცებისთვის თვით ბუნებას მიუნიჭებია ისეთი სულიერი ძალა, რომელიც უმსუბუქებს და შველის მათ ასეთი დაშხამული და შავბნელი სიცოცხლის ატანას; ეს არის თანშობილი მძლავრი დედობრივი სიყვარული და მხურვალე გრძნობა შვილების აღზრდის მოვალეობისა. თავაზიანობა, გულშემატკივრობა, სიბრალული—ერთი სიტყვით, მოკლეთ რომ ვსთქვათ, ნერვების გრძნობიერების ძალზე განვითარება შეადგენს დედაკაცის ნიშნობლივ თვისებას. ამიტომ გაუთხოვარი ქალი უფრო შიშსა და საფრთხეს განიცდის. ქალის სრული განვითარება, დაუბრკოლებლათ აყვავება, გაშლა და გაფურჩქვნა თუ გნებავთ, გაუჩინეთ მას საკუთარი კერა, ნუ დაუხშობთ, ნუ ჩაუკლავთ მას ოჯახურ გრძნობას, გახადეთ იგი დედათ და ჩააყენეთ ისეთ პირობებში, სადაც მას შეეძლოს საქმით განხორციელება [illegible] ვისა და თანშობილი [illegible] შემატკივრობის, [illegible] ბიერების. ასეთ პირობებში აყენებს მას მხოლოდ ქმარშვილი. გაუთხოვარ ქალს, თუნდა ბავშვების აღმზრდელათაც რომ დაყენოთ, ან უცოლო ძმის ოჯახის გამგეობა და დიასახლისობა მიანდოთ, მაინც აკლია რაღაც ცხოვრებაში, მისი სიცოცხლე არაოდეს საკმაოთ გამთვარი არ არის, მუდამ ბედს ემდურის, თავს მარად უკმაყოფილოთ გრძნობს.

დედაკაცს იმდენათ ძლიერი მოთხოვნილება არ აქვს საჭმლის, როგორც მამაკაცს და უფრო ეტანება და უყვარს ჩაი და ყავა, რაც ყუათიან და შემრგო ნივთიერებათ არ ჩაითვლება. თუ ვინიცობაა დედაკაცი შეეჩვია მაგარ სასმელებს და სხვა რამ სისხლის აღმგზნებ და მომწამვლელ ნივთიერებათა ხმარებას, მაშინ ხანგძლივი სიმძაფრე მამაკაცზე უფრო ადრე იწვევს მასში ღონემიხდილობასა და უფრო ადრე ღუპავს მას. ქალისთვის საზოგადოთ ნერვებით ავათმყოფობა ჩვეულებრივი საქმეა და იგი წარმოადგენს უმთავრესს თანამედროვე სენს ჩვენი კულტურისას. პირველყოფილი დედაკაცი თითქმის ისეთივე ჯანსაღი და ღონიერი იყო, როგორც მამაკაცი. დედაკაცმა, ცივილიზაციის მეოხებით, ცხოვრების საბრძოლათ და შესაგუებლათ ვერ შეიძინა იმდენი ხერხი, როგორც მამაკაცმა. დღეს ორივე სქესს ხშირათ ემჩნევა საოცარი გრძნობა—გრძნობა ურთიერთ შორის მოცილეობისა, მტრობისა და მოშურნეობის. არა გვგონია, რომ ამაზე უფრო სასაცილო და უმსგავსო გრძნობოდესმე სჩვეოდეს ადამიანს. ყოველი საღი ჭკუის ქალი და კაცი სრული თავის ძალღონით უნდა ებრძოდეს და ცდილობდეს ამ გრძნობის დახშვასა და ამოფხვრას. თვითოეულ სქესს თავისი ადგილი უკავია და თავისი საკუთარი საქმე აქვს. რომლის ასრულებაც მეორე სქესს არ შეუძლია, ორივე სქესი, აუცილებლათ, შეავსებენ ერთიმეორეს და არ შეუძლიათ ურთმანეთოთ ბედნიერი იყვენ. მომავალი პრაქტიკული სოციალოგიის მიზანი ის იქნება, რომ განსაზღვრულ იქმნეს თითოეული სქესის მოქმედების ჭეშმარიტი ფარგალი და საზოგადოებრივი წესიერებაც ამ ფარგალთან იქმნეს შეთანხმებული. ბუნების უფრო სწორი შესწავლა და გონიერი ჰიგიენა ამ საქმეს ძლიერ ხელს შეუწყობს და გააადვილებს.

იდეალური დედაკაცის ხატება მუდამ გვხვდება პოეზიაში. სოლომონ ბრძნის იგავები გვიხატავს დედაკაცს, როგორც

---

[...]ის რაინდული სიყვარულის დასახატა[...][1]).

ამით აიხსნება ჩვენი აზრით ის განსაკვირვებელი სიმეტრია, რომელიც არსებობს პოემის შინაარსის ინტერესთა თანდათანობით ზრდაში. (იხ. გვ. 39, V. [...]ნი შრომა). ძნელი წარმოსადგენია [...]სულ ლიტერატურაში ისეთი ნაწარმოები, რომელიც ამ მხრით მოთხრობის [...]ეტრიული დალაგებით შეედრებოდეს [...]ფხის ტყაოსან“-ს; მას ამ მხრით ჰომეროსის ოდისეია თუ შეედრება.

ამიტომ ჩვენ ვერ დავეთანხმებით პატივცემულ აკად. მარს იმაში, ვითომც სპარსული ამბავი, რომელიც მან ლექსათ [...]დათქვა, ობოლი მარგალიტი“ უნდა [...]ლიყო და ბევრათ მაღლა უნდა [...]არიყო რუსთველის ქმნილებაზე[2]).

ამგვარ აზრს ეწინააღმდეგება ყველაზე [...]ნ ის „დომილი“ სპარსული მწერლობის დ [...]ანდილისა და ტარიელის პიროვნებათა [...]ლებელს ყოფა დ მათი არსად არ ხსენე[...] ჩვენის აზრით, შეუძლებელია, რომ [...]ხის ტყაოსანი,—იმ შემთხვევაში, თუ სპარსულ ენაზე არსებობდა არა თუ [...]ახით, რა სახითაც პოეტს იგი ჩვენ[...] უანდერძებია, არამედ, როგორც [...]იგინალი, აკად. მარის სიტყვით, მაღ[...]ც კი იდგა, რუსთველის ნაწარმოებ[...],—არ დასტოვებდა რაიმე კვალს სპარ[...] მწერლობაში, როგორც ისეთი ნაწარმოები, რომლის სამიჯნურო თავგადასავალი ფრიად საინტერესო იყო, რომ[...] თავარ გმირს ვერ შეედრებოდა [...]ც მეჯნუნი, ვერც რამინი, ვერც სალ[...]ნი და სხვ., სადაც შეუდარებელი ქალ[...]

[1]) იხ. ამის შესახებ ჩვენი მოხსენება.

[2]) ნუ თუ ეს დასაბუთებულია? იტყვიან, [...] სიტყვაობაო, მაგრამ ვინ დაამტკიცა წი[...]ტყვაობის სინამდვილე. ჩვენის აზრით, [...] დაუსაბუთებლათ აცხადებს ნ. მარი, და, [...]თქმა უნდა, ბ. ნიკ. ჯორჯიკია, რომე[...] ჩვენ რობაქიძესთან ერთად გვაფრთხილებს: „ნუ ჩქარობთო“.

ვაჟის სიყვარული იყო გამოყვანილი როგორ წარმოვიდგინოთ ის, რომ დიდებულ ნაწარმოებზე, რომელიც რუსთველის „ვეფხის ტყაოსანზე მაღლაც კი მდგარა თავის ნაწარმოებში ცნობებს არავინ შეიტანდა, ან გაკვრით მაინც არ მოიხსენებდა მის შეუდარებელ მიჯნურებს?!.

აკად. მარის სიტყვით პოეტმა სიუჟეტი სპარსულიდან ისესხა, ანუ როგორც მისვე სიტყვებიდან ჩანს, სპარსული მოთხრობა გამოიყენა რუსთველმა თავისი ქმნილების მასალათ.

მაშასადამე, რაღა განსხვავებაა ამგვარ აზრსა და ჩვენს ნათქვამს შორის, რომ სპარსულიდან ქართულად ნათარგმნები ამბავი რუსთველის ქმნილებასთან შედარებით ჩონჩხი უნდა ყოფილიყო, რომ იგი რუსთველის უკვდავ პოემასთან შედარებით უმნიშვნელო ზღაპარს წარმოადგენდა?!

ან და ნუ თუ ამის თქმა მეტია, ვიდრე იმის, რომ პოეტმა სპარსული ლიტერატურიდან სიუჟეტი ისესხა და ეს სიუჟეტი თავისი ქმნილებისთვის მასალად გამოიყენა?! (იხ. ц. с. § 1).

ამიტომ, ჩვენის აზრით, ვერც პატივცემულ მეცნიერს ნ. მარს, აქვს საკმაოდ ნათლად გამორკვეული ეს საკითხი; ვერ გაგვიგია რას უწოდებს მეცნიერი სიუჟეტს, ან რანაირათ შეიძლება გალექსილი თარგმანის შესახებ ითქვას, რომ იგი გამოადგა პოეტს მისი ქმნილების მასალადო, ამიტომაც ჩვენ ვეთანხმებით ბ. ბორჩელს, რომელიც კითხვის ნიშანს უსვამს მეცნიერის სიტყვებს „Матеріаломъ для его творенія, იხ. „სახ. გაზ.“ ამგვარი აზრის არის ბ. სილ. ხუნდაძეც იხ. მისი სერიოზული წერილებიდან „იმერეთ“-ში სათაურით: „შემცთარი აზრები ვეფხის ტყაოსნის შესახებ“.

თუ მართლა, აკად. ნ. მარის თანახმათ, რუსთაველმა თანამედროვე ცხოვრების პირობებს შეთანხმა სპარსული ამბის ფაქტები, თუ მან თანამედროვე ცხოვრებაში პოვა პოემის საჭიროების ამოძახილი, თუ მან რაიმე ისესხა ნეოპლატონიკური წყაროდან, თუ იქ მე-XII საუკ. საქართველოს რაინდობისა და ქალის კულტის შესახები მდიდარი მასალაა, თუ პოეტი ამასთან იყო Зодчій, сумѣвшій придать національный обликъ перев. персид. повѣсти, თუ მას ტარიელისთვის გულლახვარ სობილს სდიოდა ცრემლი შეუშრობელი, თუ პოემის მთავარ გმირებს პოეტი ენას უჩლექს და ეუბნება: ტარიასა და ნესტან ჯარს.[1]) (დაუმატეთ ამას რუსთველის ჯადოსნური რითმა და ჩვენის მოხსენებით გამოთქმული მოსაზრება ზღაპარის მცველის შესახებ), მაშინ ნუთუ რუსთაველის პიროვნების გენიოსად ჩათვლა ნაციონალური თვალსაზრისის მაჩვენებელია; ნუ თუ შეცდომა იქნება ვსთქვათ, რომ ვეფხ. ტყ. რუსთველის ნაწარმოები სპარსულ ამბავთან შედარებით გენიის უდიდესი და უმშვენიერესი ნაწარმოებია. საქმეც ის არის, რომ ვეფხ. ტყაოსანი ყველა დღემდი ცნობილი ამბებისაგან იმითი განირჩევა, რომ იქ შეერთებულ სადევგმირო და საბიჯნურო ამბების თვისებები, მასში დევებსა და ქაჯებთან ბრძოლასთან ერთად ვხედავთ უმაღლეს წერტილამდი განვითარებულს ქალ-ვაჟის სიყვარულს; იმ წინააღმდეგ ბაჰრამ—გულიჯანიანისა და ბაჰრამ გულდამიანისა, ვხედავ განსაკუთრებულსა და მასთან გამორკვეულს მუშაობას, გენიალურ პოეტურ შემოქმედებას წრფელის რაინდული სიყვარულის დასახატავათ. სწორედ ამ მიზეზით, როგორც უკვე გამოვსთქვი მე, ქაჯების შესახები თქმულება ავტორს შეუცვლია და ქაჯები კაცებათ გამოუყვანია. ეტყობა რუსთველს ეს ადგილი, სადაც ჯინები ქაჯებათ ყოფილა თარგმნილი, საკმაოთ შეუცვლია. მაშასადამე, ტარიელისა და ავთანდილის შესახები სადევგმირო მოთხრობა, რომანტიული მხარის განვითარებითა და ზღაპრულის სადევგმირო ელფერის წაგვრით შოთას მიერ გარდაქმნილა მაღალ პოეტიურ ქმნილებათ.

[1]) და არა მაჭრიარსა და ნესტ ჭანდერჯაჭანს.

დასასრულ არ შემიძლია უყურადღებოთ დავსტოვო ის არა კეთილსინიდისიერი საქციელი, რომელიც შემინიშნავს ჩემის შრომის შესახები წერილების ავტორებში:

ბ. ივ. ვართაგავა, რომელმაც რეცენზია მოათავსა ჟურ. „განათლება“-ში „ძველი სამართველო“-ს 1-ლი ტომის შესახებ, ჩემს გამოკვლევას ასე იხსენიებს: „ბ. აბულაძეს სურს შეაერთოს ორი ერთიმეორის წინააღმდეგი აზრი მეცნიერული და ნაციონალური, ე. ი. შეარიგოს შეურიგებელიო“, (იხ. „გან.“ № 5, ბიბლიოგრაფია. ახლა მოვუსმინოთ ნ. მარს, Витязь, II: (Ю. Абуладзе) „Захотѣлъ подойти къ нему одновременно съ научной и національной сторонъ, въ цѣляхъ примирить непримиримое“.

ივ. ვართაგავას წერილი დაისტამბა ზამთარში, ხოლო ნ. მარის შრომა გავრცელდა მხოლოდ ხუთ თვეს შემდეგ მაისში. ახლა იკითხავთ, როგორ მოხდა ეს, რომ ივ. ვართაგავას ნათქვამს იმეორებს სიტყვა-სიტყვით აკ. მარი? აი, როგორ:

რედაქციაში, რომელსაც ხელმძღვანელობს სათავადაზნაურო გიმნაზიის ერთი მასწავლებელი, შესულიყო ერთი პეტერბურგიდან ჩამოსული მეცნიერი, რომლისგანაც ბ. ვართაგავას გაეცნო მარის აზრი ჩემის შრომის შესახებ. და აკი მანაც ალონზს პიცონივით არ მოასწრო ქრ. კოლუმბს (ამ შემთხვევაში მარს) ამერიკის აღმოჩენა?!. ბ. რობაქიძეც ასევე სუბუქათ იქცევა, როდესაც აბუჩათ იგდებს ჩვენს შრომას რუსთველის შემოქმედების შესახებ, და ამბობს: რუსთველი ხელოვანია, მაგრამ ამას მაგრამს უკეთებენ მრავალნიო, ე. ი. პოემის სიუჟეტის შემსწავლელნიო“, მაშინ როდესაც ეს უკანასკნელები ერთი და ორია, ხოლო იმათი რიცხვი კი, რომელთაც რუსთველის თითო-ოროლა ფრაზის მეტი არაფერი გაეგებათ, მრავალია: ისინი წაავლებენ ხელს თითოოროლა ფრაზას და სრულიად შინაარსის უანალიზოთ ცდილობენ რუსთველის შემოქმედების შესახები ლამაზი ფრაზებით მოგვხიბლონ. აი, ცოდნაც ამას ქვია... ასევე იქცევა ბ. ნიკ. ჯორჯიკიაც და როდესაც იგი ჩვენ სიჩქარეს გვწამებს და სრულიად უსაფუძვლოთ ემხრობა ნ. მარის აზრს ჩემის გამოკვლევის შესახებ, (იხ. „იმერეთი“ 90 №-ი ფელეტონი, სვეტი 6-ე. კარგი იქნება ბ. ნიკ. ჯორჯიკია დაგვიმტკიცებდეს რამდენათ დასაბუთებულია შემდეგი ფრაზები, რომელებსაც აცხადებს აკ. მარი.

1. „ვეფხის ტყაოსნის“ ადგილსამყოფელი ბრიტანიის მუზეუმია.

2. რუსთველს ეკუთნის მხოლოდ სპარსული პროზაიკული რომანის ლექსათ გადაკეთების სახელი. (ასე რომ ბ. რობაქიძე სამართლიანათ ამბობს, რომ აკ. მარით რუსთველი მლექსავი მონა გამოდისო. აქვე საჭიროთ ვრაცხ, რომ ბ. მარს არსად სიტყვა არ უთქვამს სიუჟეტის გადაქმნაზე ჩვენი შრომის დასტამბვამდი).

3. რუსთველმა მხოლოდ ლექსთა მომხიბლავი შვენიერებით მისცა ეროვნული სახე სპარსულ მოთხრობასო და სხვ.

მაგრამ ნიკ. ჯორჯიკიას თქმით „ვეფხის ტყაოსანს“ თურმე ფილოლოგიურის თვალსაზრისით იკვლევს ბ. მარი. ჩვენც ასე ვიქცევით და კიდეც მოვიქცით და რატომ არ კადრულობთ წაკითხვას?!

**იუსტინე აბულაძე.**

22. 7. ქ. ტფილისი.

**მიღებულია:**
რკინის კოჭები შენობისთვის (Двутавровыя балки)
ნამდვილი ბახმუტის ალიბასტრი.
✦✦ იყიდება ზომიერ ფასათ ✦✦

# საბაჭრო სახლი
# ი. გოკიელის შვილების
ქუთაისში.

| ბორჯომის წყალი | თავის ქურქით. | | |
| --- | --- | --- | --- |
| | 1 ბოთლი | 10 ბოთ. | ყუთი (100 |
| 1/2 | 25 კ. | 2 მ. 40 კ. | 11 მ. 50 |
| 1/2 | 16½ კ. | 1 მ. 60 კ. | 15 მ. 75 |
| ნარზანი და ესენტუკი № 20 1/2 | 14½ კ. | 1 მ. 40 | 13 მ. 50 |

დეპოლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და შპალერის ქ. ქუთაისში.

# ფ. ს. ფილიპოვისა.
ალექსანდრეს ქუჩაზე

მოუწოდება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ლუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, ტაკზე საფენი „ლინელოუმი", სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი მეირფასი საოჯახო ნივთი, აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის ფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.

პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი.

ბრწყინვალე მაგალითს ბეჯითობისას, ზრდილობისას და სახლოსნობისას. პავლე მოციქულის ეპისტოლეებში სხვა ტიპის ქალია დასურათებული, არაბულ ლექსებში კიდევ სრულიად სხვა. თანამედროვე პოეზიაც გვიხატავს მრავალს ნიმუშსა ქ იდეალს როგორც კარგი, აგრეთვე უვარგისი დედაკაცისას. ამ უკანასკნელ დროში დედაკაცის ევოლიუცია უფრო ჩქარი ნაბიჯით მიდის, ვიდრე მამაკაცისა, და თუ მისი განვითარება და ფსიხიკა ჯერ კიდევ ჩამორჩენილია მამაკაცისაზე ამის მიზეზი სხვა რამეში უნდა ვეძიოთ და არა იდეალებისა და ცოდნის უქონლობაში.

ქალი გონებრივი განვითარების მხრით გაშორებით მეტ მრავალფეროვნებას წარმოადგენს დღეს, ვიდრე წინათ; იგი უფრო შეგნებულათ ეკიდება თავის ნიჭითა და ათასგვარ ასპარეზე სცდის თავს ძალღონეს. იგი იმყოფება ცდათა ხანაში. ხშირათ არ არის კმაყოფილი თვის მდგომარეობით, და უკმაყოფილება ხო წყაროა წარმატების, პროგრესის. იგი გამსჭვალულია დიდების მოყვარებით, რაც უწინდელ დროში უცნობი ხილი იყო დედაკაცისთვის. ჯერ კიდევ სავსებით არაა გამორკვეული, რა გვარი მოღვაწეობა უნდა მიეკუთნოს მას მომავალში; ეჭვს გარეშეა მხოლოდ ის, რომ თანამედროვე ქალი სულიერათ დღეს უფრო გაჭივრებულ მდგომარეობაში იმყოფება, ვიდრე ოდესმე წარსულ ისტორიულ ხანაში. იგი იმდენს საცადს სჩადის და მისგან იმდენს მოითხოვენ, რომ მისი ახლანდელი ბედნიერებისთვისა და მომავალი განვითარებისთვის სულის ჰიგიენას დიდი მნიშვნელობა აქვს. ქალის ცხოვრების გარდაქმნა ისე, როგორც ამას მოითხოვს ახალი მისწრაფებანი, გეგმები და იდეალები, შეუძლებელია ძალდაუტანებლათ. და ძალდატანებას ხო მისი განსხვავებული ბუნება, სუსტი და ფაქიზი აგებულობა ვერ აიტანს. მაგრამ სამაგიეროთ მას აშვენებს ისეთი თვისებანი, რომელთა უქონლობაც არაა სასურველი არც მისთვის, არც მამაკაცისთვის: სამშვიდე, სინარნარე, სიფაქიზე, სიტურფე, ლმობიერება, თავგანწირულება, ალტრუიზმი, გულშემატკივრობა, უძლურთა ქომაგობა, სარწმუნოების ცხოველი ალლო—აი ღირსეული და სათაყვანო ქალის შემამკობელი და დამაშვენებელი თვისებანი ყველას მოსწონს სალი ჭკუა და სალი სხეული. ქალის ბეჯითობა და გულსმოდგინება როგორც შრომაში, ისე გართობაში და თამაშში არ უნდა გადასცდეს ზომიერებას. არ უნდა იყოს მეტათ ძალდატანებული, რადგან ადვილათ შეიძლება, რომ ამას მოყვეს ნერვების აშლა, ნევრასტენია. ქალის ნევრებს თუ ძალა დატანეთ და გაამძაფრეთ—იგი ავათ ხდება, ხორცსა ყრის, ნელ-ნელა დნება, მჭლევდება. მადა, კუჭი და საზდოობა ქალს უნდა ქონდეს ნორმალური, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ხდება გულფიცხი, სევდიანდება და მალე ბერდება. აგრეთვე ნამეტნავათ არ უნდა დავუხშოთ ქალს ბუნებრივი მისწრაფებანი, რადგანაც ეს იწვევს მასში უკმაყოფილებასა და სევდას. ამას თანავე გადაჭარბებით არ უნდა შევზღუდოთ მისი შრომისა და მოქმედების ფარგალი, რადგანაც მას ამისგამო უფიტდება გონება და ჭორიკანობის მადა ეხსნება. არც ნამეტანი მოფერება, განებივრება და ალერსი უხდება ქალს—ეს ბადებს მასში, სიანჩხლეს, ჟინიანობას, თავგასულობასა და ეგოიზმს. დედაკაცის სარწმუნოებრივი ინსტიკტი არ უნდა შევაქოთ და წააქეზოთ ნამეტნავათ, თორემ ფარისევლობათა და ცრუწმინდანობათ გადაექცევა—და ეს ხომ ფრიად უსიამოვნო თვისებაა დედაკაცში. სარწმუნოებრივი გრძნობა თუ სჭარბობს ქალში, შესაძლებელია ამან გამოიწვიოს მასში რელიგიური ექსტაზი (აღტაცება) და გალიუცინაციები (მოჩვენებანი), რაც უმეტეს ნაწილათ ტვინის გამოლაყების შედეგია.

იოსებ სანებლიძე.

1 აგვისტო 1913 ქუთაისი

## პასუხათ ჩემს ძმას

ალექ. გამსახურდიას.

როდესაც ადამიანს ღრმათ სწამს თავისი იდეა, იგი დიახაც ღირსია პატივისცემისა, მაგრამ როცა კაცი ასე გაბრუვდება პარტიული ნარკოტით, რომ თავის ცხვირს იქით ვერავის სჭვრეტს, ეს მისი გონებრივი სიდუხჭირის მომასწავებელია. ჩვენი კამათი არც ისე საინტერესო იყო, რომ მკითხველ საზოგადოებას მისი შედეგებით ყური უჭედოთ. არც ის აინტერესებს ალბათ არავის, თუ როგორი განწყობილება სუფევდა ჩვენ შორის, მაგრამ ერთი რამ ფრიად საგულისხმოა ამ გარემოებაში და ამიტომაც რამდენიმე სტრიქონს ვსწერ შენს საპასუხოთ.

ოჯახი, მოგეხსენება, იგივე მინიატურული საზოგადოებაა. მასში მეორდება ასე თუ ისე ის, რაც საზოგადოებრივი მაჯისცემის მაჩვენებელია. მე და შენ ჩვენსას იდეური კამათი გვქონდა. შემდეგ იგი საპირადოთ იქცა—როგორც ეს ზნეთა სჭირთ ჩვენში. კერძო პირების დახასიათება დაიწყო.

შენ კარგათ იცი, რომ მე პირადათ პატივს ვსცემ ბევრ თქვენიანს, მიუხედავათ იმისა, რომ ისინი ჩემი იდეურათ მოწინააღმდეგენი არიან.

ჩვენ შორის ატეხილ კამათში კი მე ასეთი შთაბეჭდილება მივიღე შენგან—რომ შენ ვერ გიპოვია ვერცერთი ნათელი პიროვნება ჩვენიანებ შორის, ყველა „თფილ ადგილოსანი" „ნაჯაშუშარი", პსიხოპატი და სხვა.

ბოლოს ასეთი ატესტაცია მოვისმინე შენგან ერთ ისეთ ჩვენიანზე, რომელსაც ყოველი ფანატიკოსზე უფანატიკოსესი თქვენიანიც უანგაროთა და ნათელ პიროვნებათ სთვლის. ამაზე შორს თვალების დაბრმავება წავა? თქვენ რომ კაცმა გკითხოს, დიდი პატივმცემელი ხართ პიროვნებისა. ერთი სთქვი:—თუ შეიძლება ადამიანის აგრე აბუჩათ აგდება? როგორც შენ ბიძა შენი მოიხსენე ჩემ წინააღმდეგ მომართულ წერილში?! მერე ისეთი ადამიანის, რომელსაც ვერც მკითხველი საზოგადოება იცნობს, და არც არავითარ მონაწილეობას ღებულობდა ჩვენს კამათში. ის მაინც „ფედერალისტი" არაა, შე კაცო? მაგრამ, ჰო, შენი ლოღიკით ვინც ესდეკი არაა,—ესფერი უნდა იყოს. რაც თეთრი არაა, აუცილებლათ შავი იქნება. ასე ინდოეთის მამლები მსჯელობდენ მას ჟამსა შინა.

ეს, სწორეთ გითხრა, თვით იმ 18-ე საუკუნის აზნაურსაც კი არ შეეფერებოდა—და შენისთანა „ფრთხილ" ადამიანს როგორ მოუვიდა?! საჭიროა მეტი პატივისცემა მეორე პიროვნებისა და მოწინააღმდეგეთა მიმართულებისადმი. და არ დაგავიწყდეს, რომ სხვებსაც აქვთ „წმინდათა წმინდა". რაც შეეხება შენ „სამძიმარს", სადაც „სწუხარ", რომ უძლური ხარ დამიმტკიცო ჩემი გზის „სიბრუნდე" (სიმრუდე!) მაშინაც კი ვერ შეიძელი, როცა მე ბავში ვიყავი და შენ კი ახლათ დამგარი მართლაც რომ მრუდე გზაზე, თვარა ახლა გვიანაა. გაიხსენე ის, რაც ამ დღეებში კამათის დროს გაკვრით გითხრა გლეხმა სამსონ ფრუიძემ ასეთი „მორჯულების" შესახებ.

არ გშვენის მისიონერის ხატი კისერზე და რა ჩემი ბრალია.

რაც შეეხება შენგან და გრიგოლ ნიკოლაიშვილისგან მოჭორილ ამბავს, რომელიც მე ერთხელ უარვყავი უკვე, შე პატიოსანო კაცო, მაგდენი რო მცოდნოდა მაგ საქმეზე და ასეთი უტყუარი მოწმე რო ვყოფილიყავ, მაშინ თქვენისთანებს კი არ გავანდობდი ხვაშიადს, არამედ მე პირველი ავიღებდი ქვას ილიას მკვლელის ჩასაქოლავათ.

ჩემო კარგებო!

თუ ასე გულით გინდოდათ თქვენი სახელი და გვარის გაზეთში ამოკითხვა ერთ პროტესტის სიაზე ვერ მოხერხეთ—ხელი მოგეწერათ, თუ კი გუდაუთში 5 წლის ბავშს დართეს ამის ნება?!

თქვენ აკი სრულწლოვანი ხართ, არა?

კოწია გამსახურდია.

## კიდევ პასუხი სტ. გრიგოლ კუჭაიძეს.

რადგან ენას ძვალი არ აქვს, შეგიძლიათ ისე ამოძრავოთ, როგორც თქვენი სინიდისი გაგიჭრისთ, მხოლოდ, თუ რამდენათ სინიდისიერია თქვენი და თენგიზ ელენტის ენის მოძრაობა ჩემს წინააღმდეგ, ამას მედიატორეები უფრო გამოარკვევენ და ამისთვის ორივემ ინებეთ და გამომყევით სამედიატორო სამართალში. მედიატორეებათ ვასახელებ თომა მთავრიშვილსა და მიხეილ ჯანოევს.

ჰელ. ღარიბს ასული.

რედაქტორ-გამომცემელი გ. ჭელიძე.

## რკინის გზა

ქუთაისიდან მიდის.

**თფილისს:** სახალხო 5 ს. 10წ. დ.; სახ 10 ს. 6 წ. დ.; ფოშტ. 11 ს. 55 წ. დ.; სახ. 11 ს. 27 წ. ღ.
**ბათომს:** სახ. 5 ს. 10 წ. დ.; სახ. 7 ს. 5 წ. საღ.; სახ. 11 ს. 27წ. ღ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. დ.
**ფოთს:** საავგარაკო 4 ს. 22 წ. დ.; სახალ. 5 ს. 10წ. დ.; ფოშტ. 5 ს. 21წ. საღ.; სახ. 7 ს. 56 წ. საღ.
**შორაპანს:** საავგარ. 4 ს. 57 წ. დღ.
**ტყიბულს:** სახ. 7 ს. 50 წ. დილ.; სახ. 45 წ. დღ.

ქუთაისს მოდის.

**თფილისიდან:** სახ. 7 ს. დილ.; სახ. 8 ს. 26 საღ.; ფოშტ. 6 ს. 56 წ. სა... სახ. 1 ს. 26 წ. ღამით.
**ბათომიდგან:** ფოშტ. 1 ს. 20წ. დღ.; სახ. 1... 14 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ. ღ.; ... 7 საათ. დილ-
**ფოთიდან:** საავგ. 10 ს. 3 წ. დილ.; სახ. ... 20 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ.
**შორაპნიდან:** საავგ. 9 ს. 31 წ. დილ.
**ტყიბულიდან:** სახ. 5 ს. 11 წ. დღ. სახ. ... საათ. 9 წ. დილ.

ქ. ქუთაისში (სობოროსთან
# ა. თაბაგარის მაღაზიაში
20 ივლისიდან დანიშნულია
# დიდი იაფი ვაჭრობა
# ველოსიპედების და სხვ.



ამასთანავე მიღებულია დიდძალი საკერი, საქსოვი და საწერი მაშინები, გრამაფონები და მათი მოწყობილობა.
●●⊠ ფასები ძლიერ დაკლებულია ⊠●●

ხრესილი.
# სამკურნალო აბანო
მეირფასი მთის აერზე
ძმ. ყორყოლაძეების
მშვენიერი ბუნება და სუფთა ბინები.

შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კურნავს სხვადასხვა სენისაგან, როგორც არის: ქარები (რევმატიზმი) კუჭისა და თავის ტკივილი, ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თფილიც. აქვეა სუფთა ბინა და სასმელსაჭმელი, აბანო მუდმივ განაგრძობს მუშაობას. ხრესილის სადგურიდან დაშორებულია ორმოცდაათი საჟენის მანძილზე.

# გ. გორდაძის და ს. წერეთლის
ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომის და სოხუმის ოლქ... უმაღლესი სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაევ-მალცევის ბემსკის მ... ბის ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСКО...
## რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:
საუკეთესო
ქარხნებისგან
**მიღებული რკინეული**
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილებანი, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი და სხ.
**ვაჭრობა პარტიითა და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ.**
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65.

საუკეთესო საკვები ცხენებისათვის და საქონლისათვის.
# „პატოკსან".
„პატოკსან" შეიცავს 42 პროც. შაქარს (სრულიად რუსეთის შაქრის მრეწველთა ლაბორატორიის ანალიზი № 640.
„პატოკსან" საუკეთესო საშუალებაა საქონლის ღონის შერჩენისათვის და შემატებისათვის (მოხსენება აქ. იოტეიკოსი ლიეჟის შაქრის მრეწველთა კონგრესზე).
„პატოკსან" ხელს უწყობს საქონელს და ცხენებს საჭმლის მონელებაში, რაც თავის რიგათ ეხმარება შრომის უნარისა და სიცოცხლის უნარის შემატებას,
„პატოკსან" ხელს უწყობს რომ რძის მომცემ საქონელს რძე გაუუმჯობესოს და დღიური ნაწველიც გაადიდოს.
„პატოკსან" თავის ნოყიერების გამო ძალიან მარგებელია და ეკონომიური საჭმელი.

ვინც მოისურვებს გაეგზავნება ერთი ფუთი 1 მ. 20 კ. გაგზავნის ფასს ვიხდით ჩვენ. გაგზავნის დროს ყოველგვარი ცნობა და მომხმარებლების აზრი უფასოთ იგზავნება ამიერ კავკასიისათვის.

ერთადერთი წარმომადგენელი ამიერ კავკასიისათვის **„გეორგი რუსინოვ და ამხ."** თფილისში ვერის დაღმართი № 12 ტელეფონი 11—37 და 11—77. დეპეშით მისამართი: „რუსინოვს თფილისში".